

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის

ბრძანება № 82  
2017 წლის 30 იანვარი

ქ. თბილისი

თავშესაფრის მაძიებლის თითის ანაბეჭდების აღების და ამ პერსონალური მონაცემების დამუშავების წესის დამტკიცების შესახებ

„საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 22 თებერვლის №34 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

1. დამტკიცდეს „თავშესაფრის მაძიებლის თითის ანაბეჭდების აღების და ამ პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი“ დანართი №1-ის შესაბამისად.
2. დამტკიცდეს „თითის ანაბეჭდის აღებაზე და თითის ანაბეჭდის თანმდევი მონაცემის დამუშავების თაობაზე თავშესაფრის მაძიებლის თანხმობის ოქმის ფორმა“ დანართი №2-ის შესაბამისად.
3. დამტკიცდეს „თითის ანაბეჭდის აღების თაობაზე თავშესაფრის მაძიებლის უარის ოქმის ფორმა“ დანართი №3-ის შესაბამისად.
4. დამტკიცდეს „თავშესაფრის მაძიებლის ფსიქიკური აშლილობის გამო თითის ანაბეჭდის აღების შეუძლებლობის თაობაზე ოქმის ფორმა“ დანართი №4-ის შესაბამისად.
5. დამტკიცდეს „თავშესაფრის მაძიებლისთვის თითის ანაბეჭდის აღების შეუძლებლობის თაობაზე ოქმის ფორმა“ დანართი №5-ის შესაბამისად.
6. დამტკიცდეს „თითის ანაბეჭდის შედარების შესახებ ოქმის ფორმა“ დანართი №6-ის შესაბამისად.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2017 წლის 1 თებერვლიდან.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან  
იძულებით გადაადგილებულ პირთა,  
განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი

სოზარ სუბარი

## თავშესაფრის მაძიებლის თითის ანაბეჭდის აღების და ამ პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი

### მუხლი 1. მიზანი

1. ეს წესი განსაზღვრავს, თავშესაფრის პროცედურის სამართლიანი, სრულყოფილი, ეფექტიანი და თანმიმდევრული განხორციელების მიზნით, „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად თავშესაფრის პროცედურის განხორციელებისას თავშესაფრის მაძიებლის თითის ანაბეჭდის აღებისა და ამ პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცედურას.

2. ამ წესით გათვალისწინებული პერსონალური მონაცემი მუშავდება თავშესაფრის მაძიებლის ან ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის იდენტიფიცირებისა და მის მიმართ პარალელური პროცედურების თავიდან აცილების მიზნით.

### მუხლი 2. რეგულირების სფერო

ეს წესი არეგულირებს:

ა) სამინისტროს მიერ „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე თითის ანაბეჭდის აღების, შედარების, შენახვის, ამ პერსონალურ მონაცემებზე წვდომის, წაშლისა და განადგურების პროცედურას;

ბ) თავშესაფრის მაძიებლის თითის ანაბეჭდის დამუშავების პროცედურაში უფლებამოსილი თანამდებობის პირის უფლებებსა და მოვალეობებს.

### მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

ამ წესის მიზნებისთვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) თითის ანაბეჭდი – თავშესაფრის მაძიებლის ბიომეტრიული მონაცემი, რომელიც უნიკალური და მუდმივია თითოეული ფიზიკური პირისათვის და რომლითაც შესაძლებელია ამ პირის იდენტიფიცირება;

ბ) მონაცემთა ბაზა – თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა მონაცემთა ბაზა, რომლის ადმინისტრირებასაც ახორციელებს სამინისტრო;

გ) თითის ანაბეჭდის თანმდევი მონაცემი – ამ წესის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მონაცემები, რომლებიც თავშესაფრის მაძიებლის თითის ანაბეჭდის აღებისას თითის ანაბეჭდთან ერთად შეიტანება მონაცემთა ბაზაში;

დ) თითის ანაბეჭდის აღება – ბიომეტრიული სისტემის სენსორების საშუალებით ბიომეტრიული მონაცემების დაფიქსირება და ციფრულ ფორმატში გარდაქმნა, რის შემდეგაც ციფრულ ფორმატში არსებული მონაცემი გარდაიქმნება თითის ანაბეჭდის კომპაქტურ ნიმუშად;

ე) თითის ანაბეჭდის შედარება – პროცედურა, რა დროსაც ბიომეტრიული სისტემა/მონაცემთა ბაზა ზომავს და ახდენს თითის ანაბეჭდის ნიმუშის შედარებას მონაცემთა ბაზაში არსებულ სხვა თითის ანაბეჭდების ნიმუშებთან, რის საფუძველზეც იღებს გადაწყვეტილებას, რამდენად შეესაბამება წარმოდგენილი ნიმუში ბიომეტრიულ სისტემაში/მონაცემთა ბაზაში არსებულ სხვა ნიმუშებს;

ვ) თანხვედრა – თითის ანაბეჭდის შედარების შედეგი, როდესაც შესაძარბელი თითის ანაბეჭდის ნიმუში ემთხვევა ბიომეტრიულ სისტემაში/მონაცემთა ბაზაში არსებულ თითის ანაბეჭდის ნიმუშს;

ზ) თანხვედრის უარყოფა – თითის ანაბეჭდის შედარების შედეგი, როდესაც შესაძარბელი თითის ანაბეჭდი არ ემთხვევა მონაცემთა ბაზაში არსებულ არცერთ თითის ანაბეჭდს;

თ) წაშლა – შენახვის ვადის გასვლის შემდეგ ან ვადის გასვლამდე, მონაცემთა ელექტრონულ მატარებელზე არსებული თითის ანაბეჭდისა და მისი თანმდევი მონაცემის ისეთი ფორმით გასუფთავება, როდესაც ამ მონაცემის შინაარსის აღდგენა შეუძლებელია.

ი) განადგურება – შენახვის ვადის გასვლის შემდეგ ან ვადის გასვლამდე, პირად საქმეში არსებული ინფორმაციის მატერიალური მატარებლის ან მასზე არსებული თითის ანაბეჭდისა და მისი თანმდევი მონაცემის ისეთი ფორმით განადგურება, როდესაც ამ მონაცემის შინაარსის აღდგენა შეუძლებელია.

2. ამ წესში გამოყენებულ ყველა სხვა ტერმინს აქვს „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლით განსაზღვრული მნიშვნელობა.

#### **მუხლი 4. უფლებამოსილი თანამდებობის პირის ვალდებულებები**

1. ამ წესით გათვალისწინებული თითის ანაბეჭდის აღებასა და შედარებას ახორციელებს უფლებამოსილი თანამდებობის პირი, რომელსაც გავლილი აქვს შესაბამისი მომზადება თითის ანაბეჭდის აღების წესსა და ამ მონაცემის დამუშავებასთან დაკავშირებით.

2. უფლებამოსილი თანამდებობის პირი, ამ წესის შესაბამისად, უზრუნველყოფს:

ა) თითის ანაბეჭდის აღებას;

ბ) აღებული თითის ანაბეჭდისა და ამ თითის ანაბეჭდის თანმდევი მონაცემის სიზუსტესა და მონაცემთა ბაზაში შეყვანას;

გ) თითის ანაბეჭდის მონაცემთა ბაზაში არსებულ ყველა თითის ანაბეჭდთან შედარებასა და მონაცემთა ბაზაში შენახვას.

#### **მუხლი 5. თითის ანაბეჭდის აღების წესი**

1. თითის ანაბეჭდის აღებამდე თავშესაფრის მადიებელს უნდა მიეწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია თითის ანაბეჭდების აღების მიზნისა და მისი შენახვის ვადის შესახებ.

2. სამინისტროსათვის საერთაშორისო დაცვაზე განცხადებით მიმართვისა და განცხადების რეგისტრაციის შემდეგ, თავშესაფრის მადიებლის ცნობის გაცემამდე, უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა უნდა აიღოს თავშესაფრის მადიებლის მარჯვენა და მარცხენა ხელის თითების ანაბეჭდები, გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტისა და ამ წესის მე-9 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3. თითის ანაბეჭდის აღებამდე უფლებამოსილი თანამდებობის პირი ადგენს ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-2 პუნქტით დამტკიცებული თითის ანაბეჭდის აღებაზე და თითის ანაბეჭდის თანმდევი მონაცემის დამუშავების თაობაზე თავშესაფრის მადიებლის თანხმობის ოქმს დანართი №2-ის შესაბამისად, რომელიც თან დაერთვის თავშესაფრის მადიებლის საერთაშორისო დაცვაზე განცხადებას.

4. დაუშვებელია 14 წელს მიუღწეველი თავშესაფრის მადიებლის თითის ანაბეჭდის აღება. იმ შემთხვევაში, თუ თავშესაფრის მადიებელს თავშესაფრის პროცედურის მიმდინარეობისას შეუსრულდა 14 წელი, მისი თითის ანაბეჭდების აღება ხორციელდება ამ მუხლში მოცემული წესის შესაბამისად. ამ შემთხვევაში, თითის ანაბეჭდი აიღება 14 წლის ასაკის მიღწევიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში.

5. იმ შემთხვევაში, თუ თავშესაფრის მადიებელი იმყოფება პენიტენციურ დაწესებულებაში ან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრში და მისი თითის ანაბეჭდის აღება ვერ ხერხდება ამ მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად, უფლებამოსილი თანამდებობის პირი თავშესაფრის მადიებლის თითის ანაბეჭდს გამოითხოვს ამ დაწესებულებებიდან კანონმდებლობით დადგენილი წესით, რომელიც თან დაერთვის თავშესაფრის მადიებლის საერთაშორისო დაცვაზე განცხადებას.

6. უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა უნდა აიღოს ისეთი ხარისხის თითის ანაბეჭდები, რომლებიც იძლევა თითის ანაბეჭდების შედარების შესაძლებლობას.

7. იმ შემთხვევაში, თუ თითის ანაბეჭდის აღება ვერ ხერხდება ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად ტექნიკური ხარვეზის არსებობის გამო, თითის ანაბეჭდის აღება შეიძლება გადაიდოს ამ ხარვეზის აღმოფხვრამდე, მაგრამ არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა.

## **მუხლი 6. თითის ანაბეჭდების თანმდევი მონაცემი**

1. უფლებამოსილი თანამდებობის პირი თითის ანაბეჭდთან ერთად მონაცემთა ბაზაში უთითებს შემდეგ ინფორმაციას:

- ა) თავშესაფრის მამიებლის სახელი და გვარი;
- ბ) თავშესაფრის მამიებლის წარმოშობის ქვეყანა;
- გ) თავშესაფრის მამიებლის დაბადების თარიღი;
- დ) საერთაშორისო დაცვაზე განაცხადის გაკეთების თარიღი;
- ე) სქესი;
- ვ) თითის ანაბეჭდის ალების თარიღი და დრო;
- ზ) თითის ანაბეჭდის ამღები უფლებამოსილი თანამდებობის პირის ვინაობა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტში მითითებული ინფორმაცია მონაცემთა ბაზაში აისახება მას შემდეგ, რაც ამ წესის მე-7 მუხლით გათვალისწინებული პროცედურის შედეგად დადგინდება, რომ მონაცემთა ბაზაში არ არსებობს იდენტური თითის ანაბეჭდი.

## **მუხლი 7. თითის ანაბეჭდების შედარების პროცედურა**

1. თითის ანაბეჭდების შედარების მიზანია თავშესაფრის მამიებლის იდენტიფიცირება და მის მიერ წარსულში საერთაშორისო დაცვაზე განცხადებით მიმართვის ფაქტის დადგენა.

2. დაუშვებელია თითის ანაბეჭდების შედარების პროცედურისას დამუშავდეს მონაცემთა ბაზაში არსებული სხვა მონაცემი, გარდა თითის ანაბეჭდის ნიმუშისა ან/და თითის ანაბეჭდის თანმდევი მონაცემისა.

3. შედარების პროცედურა სრულდება მას შემდეგ, რაც ბიომეტრული სისტემა/მონაცემთა ბაზა ავტომატურად შეატყობინებს უფლებამოსილ თანამდებობის პირს თითის ანაბეჭდის მონაცემის თანხვედრის ან თანხვედრის უარყოფის შესახებ.

4. თანხვედრის შემთხვევაში, უფლებამოსილი თანამდებობის პირი ეცნობა შესაბამისი თითის ანაბეჭდის თანმდევ მონაცემს, რასთან დაკავშირებითაც ადგენს ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-6 პუნქტით დამტკიცებული „თითის ანაბეჭდის შედარების შესახებ ოქმს“ დანართი №6-ის შესაბამისად, რომელიც თან დაერთვის თავშესაფრის მამიებლის საერთაშორისო დაცვაზე განცხადებას.

5. თითის ანაბეჭდის შედარების პროცედურა უნდა განხორციელდეს თითის ანაბეჭდის ალებისთანავე.

6. ამ წესის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, თითის ანაბეჭდების გამოთხოვის შემთხვევაში თითის ანაბეჭდების შედარების პროცედურა ხორციელდება სამინისტროს მიერ თითის ანაბეჭდების მიღებისთანავე.

7. ამ მუხლით გათვალისწინებული პროცედურის განხორციელების შემდეგ თითის ანაბეჭდი, თითის ანაბეჭდის შედარების შედეგი, თითის ანაბეჭდის შედარების ოქმი და თითის ანაბეჭდის თანმდევი მონაცემი ინახება მონაცემთა ბაზაში.

8. თითის ანაბეჭდის თანხვედრის შემთხვევაში მონაცემთა ბაზაში აისახება თითის ანაბეჭდის ის თანმდევი მონაცემი, რომელიც დადგინდება საერთაშორისო დაცვაზე განცხადებაზე გადაწყვეტილების მიღების შემდგომ.

## **მუხლი 8. თავშესაფრის მამიებლის უარი თითის ანაბეჭდის ალებაზე**

1. თუ თავშესაფრის მამიებელი უარს აცხადებს თითის ანაბეჭდის ალებაზე, თითის ანაბეჭდების ალების მიზნით უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა თავშესაფრის მამიებელს დეტალურად უნდა განუმარტოს „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული თითის ანაბეჭდის ალების და თანამშრომლობის ვალდებულების შესახებ, ასევე თითის ანაბეჭდის ალებაზე უარის თქმის შედეგები.

2. იმ შემთხვევაში, თუ თავშესაფრის მამიებელი უარს აცხადებს თითის ანაბეჭდების ალებაზე ან თითის ანაბეჭდების ალება ვერ ხერხდება მისი ფსიქიკური აშლილობის გამო, უფლებამოსილი

თანამდებობის პირი აღნიშნულთან დაკავშირებით ადგენს ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-3 პუნქტით დამტკიცებული „თითის ანაბეჭდის აღების თაობაზე თავშესაფრის მაძიებლის უარის ოქმს“ დანართი №3-ის ან ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-4 პუნქტით დამტკიცებული „თავშესაფრის მაძიებლის ფსიქიკური აშლილობის გამო თითის ანაბეჭდის აღების შეუძლებლობის თაობაზე ოქმს“ დანართი №4-ის შესაბამისად, რომელიც თან დაერთვის თავშესაფრის მაძიებლის საერთაშორისო დაცვაზე განცხადებას.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განხორციელებული პროცედურის შემდეგ, თავშესაფრის მაძიებლის მიერ თითის ანაბეჭდის აღებაზე უარის თქმის შემთხვევაში, უფლებამოსილი თანამდებობის პირი იღებს გადაწყვეტილებას საერთაშორისო დაცვაზე გაკეთებული განცხადების განხილვის შეწყვეტის თაობაზე, „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ფსიქიკური აშლილობის მქონე თავშესაფრის მაძიებლის საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვა არ შეწყდება.

### **მუხლი 9. თითის ანაბეჭდის აღების შეუძლებლობა**

1. თავშესაფრის მაძიებლის მიერ თითების დაზიანების ან სხვა ობიექტური საფუძვლით თითის ანაბეჭდის აღების შეუძლებლობის შემთხვევაში, უფლებამოსილი თანამდებობის პირი თავშესაფრის მაძიებლის თითის ანაბეჭდს იღებს ასეთი საფუძვლების აღმოფხვრისთანავე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, თითის ანაბეჭდის აღების პროცედურა ხორციელდება რეგულარულად, გონივრულ ვადებში, იმისათვის რომ დადგინდეს, არსებობს თუ არა ის საფუძველი, რის გამოც ვერ ხერხდება თითის ანაბეჭდის აღება.

3. გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც შეუძლებელია თავშესაფრის მაძიებლის თითის ანაბეჭდის აღება ფიზიკური ნაკლის ან სხვა სამედიცინო ან ფიზიკური პრობლემის გამო, უფლებამოსილი თანამდებობის პირი ადგენს შესაბამის ოქმს ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-5 პუნქტით დამტკიცებულ „თავშესაფრის მაძიებლისთვის თითის ანაბეჭდის აღების შეუძლებლობის თაობაზე ოქმს“ დანართი №5-ის შესაბამისად, სადაც მიეთითება თითის ანაბეჭდის აღების შეუძლებლობის მიზეზები და, რომელიც თან დაერთვის თავშესაფრის მაძიებლის საერთაშორისო დაცვაზე განცხადებას.

### **მუხლი 10. მონაცემთა შენახვა, წაშლა და განადგურება**

1. თითის ანაბეჭდი ინახება თავშესაფრის მაძიებლის პირად საქმესა და მონაცემთა ბაზაში.

2. თითის ანაბეჭდი და ამ წესის მე-6 მუხლის პირველ პუნქტში მითითებული შესაბამისი თითის ანაბეჭდის თანმდევი მონაცემები მონაცემთა ბაზაში ინახება საერთაშორისო დაცვაზე განცხადების რეგისტრაციიდან 10 წლის ვადით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული ვადის გასვლის შემდეგ მონაცემთა ბაზა ავტომატურად შლის ამ მონაცემებს. ამ წესის შესაბამისად დამუშავებული მატერიალური ფორმით არსებული პერსონალური მონაცემები ნადგურდება.

4. მონაცემთა ბაზაში შენახული თითის ანაბეჭდი და თითის ანაბეჭდის თანმდევი მონაცემი იშლება ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ვადის გასვლიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღეში.

5. მონაცემთა ბაზაში შენახული მასალა უნდა წაიშალოს სისტემიდან მათი სრული წაშლით, ხოლო პირად საქმეში მატერიალური სახით არსებობის შემთხვევაში უნდა განადგურდეს მათი დაწვით, დაჭრით ან სხვა ფორმით, რაც შეუძლებელს გახდის მისი მომავალში აღდგენის შესაძლებლობას.

### **მუხლი 11. მონაცემების წაშლა/განადგურება ვადაზე ადრე**

1. ამ წესის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული ვადის გასვლამდე თითის ანაბეჭდი და მისი თანმდევი მონაცემები უნდა წაიშალოს/განადგურდეს, როდესაც:

ა) იმ პირმა, რომლის შესახებაც არსებობს თითის ანაბეჭდი და თითის ანაბეჭდის თანმდევი მონაცემი მიიღო საქართველოს მოქალაქეობა, ან

ბ) ის პირი, რომლის შესახებაც არსებობს თითის ანაბეჭდი და თითის ანაბეჭდის თანმდევი მონაცემი გარდაიცვალა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში თითის ანაბეჭდის და მისი თანმდევი მონაცემების წაშლა/განადგურება ხორციელდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ინფორმაციის მიღებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღეში.

### **მუხლი 12. თავშესაფრის მაძიებლის უფლებები თითის ანაბეჭდის აღებისას**

1. თავშესაფრის მაძიებელს უფლება აქვს:

ა) მოითხოვოს ინფორმაცია თითის ანაბეჭდის აღების საჭიროებისა და მიზნების შესახებ;

ბ) ჰქონდეს წვდომა სამინისტროში მის შესახებ არსებულ თითის ანაბეჭდის თანმდევი მონაცემებზე;

გ) მოითხოვოს მასთან დაკავშირებით არასწორად ან უკანონოდ დამუშავებული მონაცემების გასწორება ან წაშლა/განადგურება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლებების შესახებ პირს ინფორმაცია უნდა მიეწოდოს თითის ანაბეჭდის აღებამდე. არასრულწლოვანი თავშესაფრის მაძიებლის შემთხვევაში, მას ინფორმაცია უნდა მიეწოდოს მისი ასაკისა და განვითარების დონის გათვალისწინებით.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლებების შესახებ პირს ინფორმაცია უნდა მიეწოდოს მოთხოვნისთანავე, დაუყოვნებლივ, ან მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 დღისა, თუ ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს:

ა) ინფორმაციის სხვა დაწესებულებაში ან სტრუქტურულ ერთეულში მოძიებასა და დამუშავებას ან მასთან კონსულტაციას;

ბ) მნიშვნელოვანი მოცულობის, ერთმანეთთან დაუკავშირებელი დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას;

გ) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას.

### **მუხლი 13. მონაცემთა ბაზის უსაფრთხოება**

1. თავშესაფრის მაძიებლის თითის ანაბეჭდის დამუშავებისას უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა უნდა მიიღოს ყველა შესაბამისი ზომა ამ მონაცემთა უსაფრთხოებისა და კონფიდენციალურობის უზრუნველსაყოფად.

2. თითის ანაბეჭდის დამუშავების მიზნით, მონაცემთა ბაზაზე წვდომა აქვს მხოლოდ იმ უფლებამოსილ თანამდებობის პირს, რომლის სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისთვისაც აუცილებელია ბაზაში დაცული ინფორმაციის დამუშავება.

3. მონაცემთა ბაზაზე უფლებამოსილ თანამდებობის პირს წვდომა აქვს მხოლოდ იმ მოცულობის მონაცემებზე, რაც აუცილებელია ამ წესით გათვალისწინებული მოქმედებების განსახორციელებლად.

4. მონაცემთა ბაზაზე უფლებამოსილ თანამდებობის პირს შესაძლოა ჰქონდეთ შემდეგი სახის დაშვება:

ა) დაშვება დათვალიერების ფუნქციით;

ბ) დაშვება ველების შევსების ფუნქციით;

გ) დაშვება ველების რედაქტირების ფუნქციით.

5. უფლებამოსილი თანამდებობის პირის დაშვების დონე და მონაცემთა მოცულობა, რომელზეც აქვს დაშვება, განსაზღვრულია მინისტრის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით.

6. მონაცემთა ბაზაზე უფლებამოსილი თანამდებობის პირის დაშვება შესაძლებელია მხოლოდ უნიკალური მომხმარებლის სახელისა და პაროლის გამოყენებით.

#### **მუხლი 14. პასუხისმგებლობა თითის ანაბეჭდების არამართლზომიერი გამოყენებისთვის**

1. დაუშვებელია თითის ანაბეჭდის ან თითის ანაბეჭდის თანმდევი მონაცემის დამუშავება ამ წესით გათვალისწინებული პროცედურის დარღვევით.

2. მონაცემთა ბაზაზე არასანქცირებული წვდომის ან მონაცემთა არასანქცირებული გამოყენების შესახებ საფუძვლიანი ეჭვის არსებობისას დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს დაშვების ბლოკირება თავშესაფრის საკითხთა სამმართველოს უფროსის მიერ და აღნიშნულის შესახებ მან უნდა აცნობოს სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტს.

#### **მუხლი 15. თითის ანაბეჭდის ან თითის ანაბეჭდის თანმდევი მონაცემის გამჟღავნება**

1. დაუშვებელია ამ წესების შესაბამისად დამუშავებული თითის ანაბეჭდისა და თითის ანაბეჭდის თანმდევი მონაცემის რაიმე ფორმით გამჟღავნება სხვა ორგანიზაციებისთვის, მასმედიისთვის, წარმოშობის ქვეყნის სახელმწიფო უწყებებისა და მოქალაქეებისთვის, ასევე საქართველოს მოქალაქეებისა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, თავშესაფრის მაძიებელთა ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა წერილობითი თანხმობის გარეშე.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული მონაცემების გადაცემა სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციისათვის შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს თავშესაფრის მაძიებლის წერილობითი თანხმობა და მონაცემების გადაცემა არ ეწინააღმდეგება „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონითა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

3. გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, თავშესაფრის მაძიებლის ან სტატუსის მქონე პირის თითის ანაბეჭდის ან თითის ანაბეჭდის თანმდევი მონაცემის გაცემა შესაძლებელია სხვა საჯარო დაწესებულებისთვის მხოლოდ პირის იდენტიფიცირების მიზნით და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით.

*დანართი №2*

#### **ოქმი**

#### **თითის ანაბეჭდის აღებაზე და თითის ანაბეჭდის თანმდევი მონაცემის დამუშავების თაობაზე თავშესაფრის მაძიებლის თანხმობა**

მე, ----- მოქალაქე/მოქალაქეობის არმქონე პირს ----- (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი), განმემართა თითის ანაბეჭდის აღების კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულების შესახებ, ასევე თითის ანაბეჭდების აღებაზე უარის სამართლებრივი შედეგები, კერძოდ, „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, თითის ანაბეჭდების აღებაზე უარის საფუძველზე საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვის შეწყვეტის შესაძლებლობის შესახებ. ასევე:

ინფორმირებული ვარ იმის შესახებ, რომ თითის ანაბეჭდი და თითის ანაბეჭდის თანმდევი მონაცემი წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას და იგი არ გამჟღავნდება სხვა ორგანიზაციებთან, მასმედიასთან, წარმოშობის ქვეყნის სახელმწიფო უწყებებსა და მოქალაქეებთან, ასევე საქართველოს მოქალაქეებსა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირებთან, ჩემი წერილობითი თანხმობის გარეშე, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებისა;

- ინფორმირებული ვარ, რომ თითის ანაბეჭდები ან თითის ანაბეჭდების თანმდევი მონაცემი დამუშავდეს „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;
- წინამდებარე ოქმი (რომელიც ითარგმნა თარჯიმან ----- მიერ) შევსებულია ჩემი კარნახით, ვეთანხმები და მის სინამდვილეს ვადასტურებ ხელის მოწერით.

თავშესაფრის მამიებელი  
 / \_\_\_\_\_  
 უფლებამოსილი თანამდებობის პირი  
 / \_\_\_\_\_  
 თარჯიმანი  
 / \_\_\_\_\_  
 კანონიერი წარმომადგენელი/მეურვე/მზრუნველი/მხარდამჭერი  
 / \_\_\_\_\_  
 თარიღი  
 / \_\_\_\_\_

**დანართი №3**

**ოქმი  
 თითის ანაბეჭდის აღების თაობაზე თავშესაფრის მამიებლის უარი**

მე, ----- მოქალაქეს/მოქალაქეობის არმქონე პირს ----- (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი), განმემარტა თითის ანაბეჭდების აღებაზე უარის თქმის სამართლებრივი შედეგები, ასევე, თავშესაფრის მინიჭების თაობაზე განცხადების განხილვის შეწყვეტის სამართლებრივი შედეგები \_ თითის ანაბეჭდების აღებაზე ჩემი უარის საფუძველზე მიიღება გადაწყვეტილება საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვის შეწყვეტის შესახებ. სრულად ვაცნობიერებ თითის ანაბეჭდების აღებაზე ჩემი უარის საფუძველზე საქართველოში საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვის საქმის წარმოების შეწყვეტით გამოწვეულ შედეგებს.

ინფორმაციის მიღებას ვადასტურებთ ხელმოწერით:

თავშესაფრის მამიებელი  
 / \_\_\_\_\_  
 უფლებამოსილი თანამდებობის პირი  
 / \_\_\_\_\_  
 თარჯიმანი  
 / \_\_\_\_\_  
 კანონიერი წარმომადგენელი/მეურვე/მზრუნველი/მხარდამჭერი  
 / \_\_\_\_\_  
 თარიღი  
 / \_\_\_\_\_



ოქმი  
თავშესაფრის მაძიებლის ფსიქიკური აშლილობის გამო თითის ანაბეჭდის აღების შეუძლებლობის  
თაობაზე

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

აღნიშნულს ხელმოწერით ვადასტურებთ:

თავშესაფრის მაძიებელი

/ \_\_\_\_\_ /

უფლებამოსილი თანამდებობის პირი

/ \_\_\_\_\_ /

თარჯიმანი

/ \_\_\_\_\_ /

კანონიერი წარმომადგენელი/მეურვე/მზრუნველი/მხარდამჭერი

/ \_\_\_\_\_ /

თარიღი

/ \_\_\_\_\_ /

ოქმი  
თავშესაფრის მაძიებლისთვის თითის ანაბეჭდის აღების შეუძლებლობის თაობაზე

---

---

---

---

---

---

---

აღნიშნულს ხელმოწერით ვადასტურებთ:

თავმესაფრის მაძიებელი

/ \_\_\_\_\_ / \_\_\_\_\_

უფლებამოსილი თანამდებობის პირი

/ \_\_\_\_\_ / \_\_\_\_\_

თარჯიმანი

/ \_\_\_\_\_ / \_\_\_\_\_

კანონიერი წარმომადგენელი/მეურვე/მზრუნველი/მხარდამჭერი

/ \_\_\_\_\_ / \_\_\_\_\_

თარიღი

/ \_\_\_\_\_ / \_\_\_\_\_

დანართი №6

ოქმი  
თითის ანაბეჭდის შედარების შესახებ

---

---

---

-----  
-----  
-----  
-----

აღნიშნულს ხელმოწერით ვადასტურებთ:

თავშესაფრის მამიებელი

/ \_\_\_\_\_ /

უფლებამოსილი თანამდებობის პირი

/ \_\_\_\_\_ /

თარჯიმანი

/ \_\_\_\_\_ /

კანონიერი წარმომადგენელი/მეურვე/მზრუნველი/მხარდამჭერი

/ \_\_\_\_\_ /

თარიღი

/ \_\_\_\_\_ /